ხელშეკრულება № 2

ქალაქი ლაგოდეხი 01 თებერვალი 2024 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ჯონდო მდივნიშვილის სახით (შემდგომში „მერია") და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირინე კლდიაშვილის სახით (შემდგომში „სსკ"), სარგებლობენ 2021 წლის 25 იანვარს გაფორმებული მემორანდუმით მინიჭებული უფლებამოსილებით და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსკ-ს შორის გაფორმებული 2021 წლის 25 იანვარს მემორანდუმის ფარგლებში, ერთობლივი პროექტის „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ცენტრი" (შემდგომში -პროექტი) განხორციელება.

2.1.2 პროექტის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, შემუშავდა დანართი 1-ი, სადაც გათვალისწინებულია „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ცენტრის" ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა, ხოლო დანართი 2-ი, სადაც გათვალისწინებულია სსკ-სა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ერთობლივი პროგრამული ბიუჯეტი.

2.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების დადების საფუძველია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსკ-ს შორის გაფორმებული 2021 წლის 25 იანვარს მემორანდუმი.

2.1.4 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტში მოხსენებული დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების და ფინანსების გამოყოფაზე პასუხისმგებლები არიან მხარეები, ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების ფარგლებში.

2.1.4 პროექტის სრული ბიუჯეტი შეადგენს - 28 874 (ოცდარვა ათას რვაას სამოცდათოთხმეტი) ლარს, საიდანაც ,,სსკ"-ს დასაფინანსებელი თანხის საერთო ოდენობაა -22 824 (ოცდაორი ათას რვაას ოცდაოთხი) ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსები თანხა შეადგენს - 6050.00 (ექვსი ათას ორმოცდაათი) ლარს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) მოითხოვონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

ბ) მონიტორინგი გაუწიონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას.

3.2 მხარეები ვალდებულები არიან:

ა) დროულად და წერილობით აცნობონ ერთმანეთს ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

ბ) ჯეროვნად დაიცვან და შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გ) არ დაუშვან ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული საქმიანობისა და გამოყოფილი თანხის რაიმე შეცვლა ერთმანეთთან წერილობითი თანხმობის გარეშე.

4. მონიტორინგის პირობები

4.1 ხელშეკრულებით გათვალიწინებული პირობების შესრულებას მორიტორინგს უწევს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია და სსკ ერთობლივად, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით.

4.2 მონიტორინგი გულისხმობს მხარეების უფლებას, შეამოწმონ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმდინარეობა ყოველთვიურად და შესაბამისი დოკუმენტებით დაადასტურონ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1 სსკ-ს არ აქვს უფლება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

7. სუბ-კონტრაქტორები

7.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულებს პროცესში, სსკ-მ წერილობით უნდა აცნობოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

7.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს სსკ-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8. ფორსმაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და საზოგადოებისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისათვის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გამოინახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2 თუ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია და სსკ ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ 2024 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10.3 ხელშეკრულების დანართი 1 და დანართი 2 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.

10.4 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რაიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას, მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

11. მხარეთა ხელმოწერა

ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირი მისამართი: ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, როდენის ქ. N4 ს/კ 404391163	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N 23 ს/კ 233144987
ირინე კლდიაშვილი დირექტორი	ჯონდო მდივნიშვილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

მემორანდუმი
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ლაგოდეხი

25 იანვარი 2021 წელი

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია, მისამართი: ქ ლაგოდეხი 26 მაისის ქ. N25 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ჯონდო მდივნიშვილის სახით, (შემდგომში მუნიციპალიტეტის მერია) და მეორეს მხრივ საქართველოს სამარიტელთა კავშირი (შემდგომში სსკ), რომლის ორგანიზაციული - სამართლებრივი ფორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს,/მდებარე ქ. თბილისში ი. აბაშიძის ქ. 42 ში/ მისი დირექტორის ირინე კლდიაშვილის სახით, ვსარგებლობთ რა ჩვენთვის მინიჭებული უფლებამოსილებებით, ვდებთ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი, მხარეთა მიზნები

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) მოქმედებს, როგორც ნებაყოფლობითი, არასამთავრობო, ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაცია. სსკ თავის საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მისი წესდებისა და მისიის შესაბამისად, ფუძემდებლური პრინციპების დაცვით და სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

საქართველოს სამარიტელთა კავშირის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- იმ ადამიანებზე ზრუნვა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება-მოხუცები, ბავშვები, იძულებით გადაადგილებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები
- საყოველთაო ჯანდაცვა და უსაფრთხოება - პირველადი დახმარება (FA) და კატასტროფების რისკის შემცირება (DRR)
- სოციალური სერვისების განვითარება რეგიონებში.

მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათი სოციალური ინტეგრაცია.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე სსკ და მუნიციპალიტეტის მერია თანხმდებიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ჰუმანიტარული საქმიანობის, კატასტროფების მართვისა და სოციალურ სფეროებში, საზოგადოების პროგრამული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის საქმეში და სხვა ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც არ იქნება აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

2.2 წინამდებარე მემორანდუმის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობა ხორციელდება საზოგადოების წესდებაზე და საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

მხარეები გამოხატავენ რა მტკიცე ნებას თანხმდებიან შემდეგზე:
3.1. მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან მემორანდუმის საგნით გათვალისწინებული საზოგადოების პროგრამული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად;
3.2. თანამშრომლობის ფარგლებში გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მისცენ რეკომენდაციები;
3.3. ერთობლივად უზრუნველყონ მემორანდუმით დასახული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად საჭირო მოქმედებები.
3.4. მუნიციპალიტეტი გამოხატავს კეთილ ნებას ხელი შეუწყოს საზოგადოებას მისი პროგრამული საქმიანობების განხორციელებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მიზით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში;
4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ არ მოშლიან წინამდებარე მემორანდუმს ცალმხრივად.

მუხლი 5. ცვლილებები

5.1 წინამდებარე შემორანდუმში რაიმე ცვლილების, ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
5.2. მემორანდუმის 5.1. პუნქტის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელებული ცვლილებები ან/და დამატებები ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ამ მემორანდუმის მანუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. წინამდებარე მემორანდუმის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე უარს ამბობს თავისი მოვალეობების შესრულებაზე ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში , როცა ამა თუ იმ მხარემ მიიღო ყველა ზომა , გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და მოძებნა ალტერნატიული ზომები წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესასრულებლად.
6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ პირობებზე და ვადებზე.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

7.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. მხარეები მიმართავენ მთელს ძალისხმევას წარმოშობილი დავისა ან / და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. წინამდებარე მემორანდუმის პირობები ვრცელდება მხარეებზე და მათ წარმომადგენლებზე.
8.2. წინმდებარე მემორანდუმის ყველა დანართი, დამატება ან/ და ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
8.3. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.
8.4. თუ წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე პირობა გახდა ბათილი ეს ვერ მოახდენს გავლენას მთელი მემორანდუმის, ან მისი ცალკე პირობების კანონიერებაზე და გამოყენებადობაზე.

მუხლი 9 მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს სამარიტელთა კავშირი მისამართი: ქ.თბილისი აბაშძის ქ.N42 ს/კ 404391163	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N 25 ს/კ 233144987
ირინე კლდიაშვილი დირექტორი	ჯონდო მდივნიშვილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი